

2
1952



ძიწს,
ო მის
ბამხალებებში!

ჩვენ მუვიდობა
გვინდა!



POUR
LA
PAIX!

საქართველოს
კომუნისტური
პარტია
177
1952
1

ნაბ. ი. თბილელისა

აგაესოათა სავასუხორ

ცდილობს ევროპის არმიის შექმნას
კვლავ აგრესორთა ენამკვერობა

და აი, მართლაც შექმნეს არმია...
მუვიდობის დროშით დახვდა ევროპა!

ს ი ა ნ ბ ი



თბილისი, 1952 წ. იანვრის 27

თბილისი, 1952 წ. იანვრის 30



დიდ ფართი - ფურთში არიან ამერიკელი „ეკონომიური ექსპერტები“ გაფაციცებით ჩიჩქნიან მიწას და ფართო გზატკეცილი გაყავთ ირანის აზერბაიჯანში. ამას გარდა, აქაურ რკინიგზას აგრძელებენ და პირდაპირ თურქეთის საზღვართან მიყავთ. „ეს ლონისძიებები იმიტომ ტარდება, — აცხადებენ ისინი, — ვაჭრობა უნდა გაფავითაროთ ირანის აზერბაიჯანში“.

მე რომ იანვრის „საწყადი გურის“ ამბავი ვიცი, ეს ჩალიშობა დაახლოებით შემდეგს ნიშნავს: ჩამოვა ამ გზით ირანის აზერბაიჯანში იანკი და აღიას მოახსენებს:

- აღიაჯან, ვაჭრობის გუნებაზე ხარ?
- ვარ, მაშ არა ვარ?
- მტრელები მომყავს, ბიჭო!
- რომელი ჭიშის, იანკიჯან?
- ამჭერად „ბ-29“ ჭიშის გახდავს. კარგი რამეებია, იათად მოგცემ!



აქაურ ბიბლიოთეკაში წავაწყდი ინგლისური გაზეთის „რეინოდს ნიუსის“ ნომერს, სადაც ათასნაირი აბდა-უბდის გვერდით ერთი უცნაური ცნობაა მოთავსებული. ეს ცნობა ეხება ფრანგი კოლონიზატორების ბრძოლას ინდო-ჩინეთში და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინდო-ჩინეთის იმ ჭარის ნაწილები, რომლებიც ფრანგ კოლონიზატორებს ემორჩილებიან, მასობრივად გადადიან ადგილობრივად პატრიოტ მებრძოლთა ჭარების მხარეზე. როგორც ხსენებული გაზეთი იტყობინება, ამ მოვლენას თავზარი დაუცია... ვაშინგტონედ ბატონებისათვის.

სწორედ ამბზე იტყვიან: „სად დავარტყი და სად გასკდაო“.

უკინებაიბი

თბილისი, 1952 წ. იანვრის 28



ხელში რომ რუკა არ მეჭიროს და მაჯაზე კომპასი არ მეკეთოს, ეს ქაღალქი, ნიუ-იორკი თუ არა, ვაშინგტონი მაინც ეგონება. ისე თავისუფლად დასეირნობენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი იანკები, თითქოს ამერიკულ აგარაკზე იყვნენ. ჭარისკაცებს რომ თავი დაეხანებოთ, ბობოდა გენერლებმა ისე აატადახეს აქაურობა, თითქოს ამ წელიწადში წვიმას არ გადებდნენ. ჭერ იყო, ეიზენ-ჰაუერის სტუმრობამ გააჭირა საქმე, მერე მონტპომერიმ დაუკრა თავი თახსირ ეფენდის, შემდეგ კი, ამერიკის არმიის შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა ჰელიმ შემოაჭენა ცხენი ანკარაში.

გენერალ-ჭარისკაცთა ასეთ ქოთქოთს, იანკის ენაზე, თურმე „ზრდილობის ვიზიტი“ ჰქვია.

თახსირ ეფენდის ზრდილობის შესახებ ბევრი არაფერი გამიგონია, მაგრამ იმდენად უზრდელი თუ იყო, რომ მისამართს აურევდა და სამაგიერო ვიზიტით „ზრდილობიანი“ სტუმრის ოჯახის მაგიერ თავის ვაი-სადდათებს კორეაში გაგზავნიდა, ამდენი არ ვიცოდი.

სიბკაბა და

სამუდამოდ დამლუბველი დანაშაული თურმე ულრან ტყეშიც კი ისე შეიძლება ჩაიღინო, რომ არც კაცი მოკლა, არც კურდღელი შეაშინო. ასეთი სატყეო დანაშაულის მსხვერპლი გახლავთ დავით და რაფიელ ლიპარტელიანები.

ხსენებული ახალგაზრდები გასული წლის ნოემბრის სუსხიან ამინდში ულრან ტყეში მისეირნობდნენ. „ჩიტის მეტი ვინ დაგვინახავსო“, იფიქრეს მათ და თავში ცუდი განზრახვა შეუჯდათ. რაკი ტყეში არავინ გამოჩნდა, რომ მათთვის ცუდ განზრახვაზე ხელი აეღებინებინა, მოდგნენ და ნებართვის გარეშე ხუთი ძირი ხე მოჭრეს. მოჭრეს ხეები და სახლში წამოიღეს.


რომელმა ჩიტმა მიიტანა ქვემო-სვანეთის რაიონის პროკურატურაში ეს ამბავი, დავით და რაფიელ ლიპარტელიანებმა დღესაც არ აციან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტყის წესების დამრღვევნი მალე სათანადო საგამომძიებლო ოქმითა და მთელი პასუხისმგებლობით მოსამართლე დავით მუკბენიანის წინაშე წარსდგნენ.

თავისი საქმის მცოდნე იურისტმა ხუთი თითოვით იცის, რომ სატყეო წესების დარღვევისათვის ჩვენს კანონმდებლობაში არსებობს 85-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას 6 თვემდე. სხვა შემთხვევაში. სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, ასეთი დანაშაული შეიძლება მხოლოდ ჯარიმითაც გათავდეს.

მაგრამ მოსამართლე დ. მუკბენიანი ისეთი მკაცრი და ამავე დროს „საქმიანი“ გახლავთ, რომ ექვსთვიანი სასჯელისათვის პროცესსაც არ დანიშნავს.

ამიტომ დაადგინა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

ნახ. ა. კანდელაკისა



— გაკეთდა ჩვენი საქმე, მელა-კუდავ, კოლმეურნეებმა იმდენი ქათამი მოაშენეს და ბოსტნების ფართობი ისე გაადიდეს, მთელ ჩვენს ჯიშს ეყოფა საქმელად. — ეხ, ჩემო ძმაო, სამაგიეროდ ხოფელი ისე გაანათეს, რომ უჩინმაჩინიც ვერ შეიპარება!

ხუმრობა

პრეზიდენტის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლით—„სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პ/მგებლობის შესახებ“ თვითუფლებს შეეფარდოს ათ-ათი წლით პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით და ქონების კონფისკაციით“.

მაგრამ მოსამართლე თვითონვე გააკვირვა თავისი დადგენილების სიმკაცრემ, „ბნელაო?“ თავისთავს ჰკითხა და სსკ 48 მუხლის საფუძველზე სასჯელი 5-5 წლით პატიმრობითა და ფულადი ჯარიმით შეცვალა.

საქმე კასაციით გადაეცა საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს.

აქ კი სიმკაცრე „ხუმრობით“ შეცვალეს და ეს „ხუმრობა“ საბედისწერო გამოდგა ლიპარტელიანებისათვის.

უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, თავმჯდომარის ამხ. ლლონტისა და წევრების ქარხალაშვილისა და ფალავანდიშვილის შემადგენლობით, მოისმინა რა მოხსენება საქ. უმაღლეს სასამართლოს წევრის ამხ. მ. ქარხალაშვილის, გამოარკვია: *)

...განაჩენი აღნიშნულ საქმეზე უნდა გაუქმდეს და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის პროკურატურას დაუბრუნდეს შემდეგი მოსაზრებათა გამო, გამოძიება აღნიშნულ საქმეზე არასრულად არის ჩატარებული. დადგენილი არ არის ბრალდებულებს დავით და რაფიელ ლიპარტელიანებმა გაიტაცეს აღნიშნულ 5 მორი ხე-ტყის მასალა თუ იმათმა თვითნებურად გაჩეხეს ნაკრძალ ჯიშის თელა.

ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავეთ და აცხა-

დებენ, რომ უნებართვოდ მოკრენ ნაკრძალ ჯიშის თელა, რაც იმათმა წაიღენ პირადი საჭიროებისათვის, ხოლო მორების გატაცება მათ მიერ აღვილი არ ქონია: საჭიროა გამოძიებამ შეამოწმოს ბრალდებულების განცხადების სისწორე და გამოარკვიოს საქმის ნამდვილი ვითარება, რომ შედგენილი აქტი-თაც არ არის უარყოფილი სატყეო წესების დარღვევა ბრალდებულების მიერ (იხ. ს. ფ. 2) აღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი უნდა იქნეს—ბრალდებულებმა დავით და რაფიელ ლიპარტელიანებმა სატყეო წესების დარღვევის შედეგად მოკრილი მორები მიჰქონდათ პირადი საჭიროებისათვის თუ იხვეების მიერ დამზადებული მოიტაცეს და გადაამალეს...“

და სასამართლომ „დაადგინა: ქვემო-სვანეთის რაიონის სახ. სასამართლოს 1952 წლის 31 იანვრის განაჩენი დავით ივანეს-ძე ლიპარტელიანის და რაფიელ სანდროს-ძე ლიპარტელიანის მიმართ... დარჩეს ძალაში“.

როგორ მოგწონთ, მკითხველო? ჯერ „უნდა გაუქმდეს“, შემდეგ კი „ძალაში დარჩეს!“

ბრალდებულებს, როგორც ტყის გამოცდილ მჩხეავეებს, შორეულ ტყეში სამუშაოდ უკოეს თავი; სასამართლოს წევრები კი თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ, არ უკვირდებიან რას წერენ და რაკი საკუთარი ხელით დაწერილის წაკითხვა ეზარებათ, ხელს ზეპირად აწერენ.

დამნაშავისადმი დაუმსახურებელი ლმობიერება, რასაკვირველია, ბოროტებაა, მაგრამ როცა ადამიანის ბედი ჩვენს ხელშია, საქმისადმი ისეთი უყურადღებობა არ უნდა გამოვიჩინოთ, როგორც ზოგჯერ ქართული ენის ცოდნისადმი ვიჩენთ.

8. ივანიშვილი

*) მართლწერა თავიდან ბოლომდე მ. ქარხალაშვილის ეკუთვნის.

ბებიები და ქალიშვილები

ქალაქის ცენტრალურ უნივერსიტეტში ჩვეუ-
ლი ხმაური და ჟრიაბი იყო. დარეჯანი
საბავშვო განყოფილებაში იდგა და გრძელ
დერძზე ჩამოკიდებულ საბავშვო ტანსაცმელს
ათვალისწინებდა. კარგა ხნის არჩევანის შემდეგ
გამყიდველს კოპლებიანი კაბა ჩამოაღებინა,
რომ ზურგიდან თავისი სახელი მოესმა.
დარეჯანმა იცნო მეგობარი ქალის ხმა და
სწრაფად მისკენ მოტრიალდა.

— ძვირფასო დარეჯან, როგორ გამიხარ-
და შენი ნახვა. რამდენი ხანია აღარ მინახავ-
ხარ... რას ყიდულობდი?... აქედანვე უშა-
დებ შეილიშვილს საჩუქრებს?... — მიაყარა
კითხვები მინადორამ დარეჯანს.

მინადორას ჩაცმულობით გაკვირვებულმა
დარეჯანმა ერთბაშად ვერც ერთ კითხვაზე ვერ
უპასუხა. მორიდებით თვალი შეავლო მის გა-
რეგნობას, ტუჩები მაგრად მოკუმდა და შეკა-
ვებული აღლევებისაგან ოდნავ აუთამაშდა
მარცხენა თვალი.

მინადორას მოკლე და სქელი ფეხები მა-
ლალ ქუსლებზე იყვნენ შემდგარნი. კუპრივით
შავ, ვაზოხილ თმაზე არაჩვეულებრივი სიმაღ-
ლის ყავისფერი ქუდი ეხურა, რომელზედაც
ქათმის შეღებულ ბუმბულისაგან გაზაფხულის
ყვავილების კონა იყო დაკრული. თეთრი პირ-
ბადე ოდნავ უფარავდა შუბლს. მწვანე ფე-
რის კაბა გასაოცრად შემოჭერილი ჰქონდა
ტანზე, რომელსაც გვერდებზე კაბის სიგრძის
პეპელას ფრთებით განიერი ნაჭრები ეკიდა.
ხელზე ყავისფერი ხელთათმანები ეცვა და
მკლავი გაყრილი ჰქონდა კოლოფის მსგავს
მძივებისგან მოქსოვილ ქისაში. გამვლელი თუ
გაჩოგვლი მინადორას ჩაცმულობას აკვირ-
დებოდა. მინადორას კი ამაყად ეკირა თავი
და გამოზომილი ღიმილით განაგრძობდა ლა-
პარაკს:

— შენს თამრიკოს უკვე შეილი ჰყავს?... მო-
მილოცავს, ძვირფასო! ბებიობა ძომილოცავს! —
მინადორამ რამდენიმეჯერ თავისი ლოყა მია-
ლო დარეჯანის ლოყას და ისევ განაგრძო. —
რა ვქნათ, ბებიობას მეც არ ვაპირებდი, მაგ-
რამ სხვა გზა არ არის, უნდა გავათხოვო ჩე-
მი იამზე.

— ქალი უნდა გათხოვდეს, აბა, ისე რო-
გორ შეიძლება?..

— იმ თურქმენისტანში რომ არ აგზავნი-
დნენ სამუშაოდ ჩემს იამზეს, არავითარ შემ-
თხვევაში ჯერ არ მიეცემდი გათხოვების უფ-
ლებას. ენავერდნა თავისუფლად გოგონას კი-
დეგ რამდენიმე წელი. ესეც არ იყოს, რა დროს
ჩემი ბებიობაა?... მაგრამ რას იზამ, იამზეს
მხოლოდ გათხოვება თუ უშვებდა.

— თურქმენისტანი მშვენიერი მხარეა. რა
უშავს, წასულიყო იქ სამუშაოდ.

— არ ვადამრიო, დარეჯან, იამზეს მართო
როგორ გავუშვებ თურქმენისტანში?..

— მაშ, გათხოვდეს და ქმართან ერთად
წავიდეს...

— ქმართან ერთად?... — გაღიზიანებითა
მინადორამ. — ქირიმე, მე სასიძოდ ვინმე ბი-
ჭუკელა კი არა მყავს არჩეული. ჩემი სასიძო
პროფესორია. პროფესორია... დარეჯან, რომ

იცოდე რა ადამიანია, რა ბინა აქვს, რა ხელ-
ფასი, რა აგარაკი... საკუთარი „პობედა“...
ერთი სიტყვით, მე თანახმა ვარ, რომ იამზე
გათხოვდეს... ცოტა წლოვანება მათქმრებს
მისი, მაგრამ...

— რამდენი წლისაა?
— თითქმის სამოცი...
— მინადორა, მერე რასა თქვობ?... იამზე
ოცდაორი წლის ახალგაზრდაა...

— არავითარი „მერე“... და ბოლოს წლო-
ვანებას არავითარი კჭუა არა აქვს. ჩემი სა-
სიძო თავშენახული კაცია და მშვენივრად გა-
მოიყურება... ჩემი სასიძო გვირდებდა ამ ზაფ-
ხულს გემით სეირნობას შავ ზღვაზე. მე-
რე, ალბათ, დავისვენებთ სოკაში. გვიან მი-
ვაკითხავთ ლენინგრადსა და რიგას... ახ,
ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, ნეტავი რო-
დის გათხოვდება ჩემი იამზე?

— იამზე კი თანახმაა შენს არჩევანზე?... —
მორიდებით იკითხა დარეჯანმა.

— იამზე ბავშვია... იამზე!.. გეთაყვა, პრო-
ფესორზე გათხოვებ, მათხოვარზე ხომ არა...
რა არის აქ საკამათო, ან სადავო?..

დარეჯანმა ღრმად ამოიოხრა, მორიდებით
ერთხელ კიდე შეავლო თვალი მინადორას
ჩაცმულობას და გამომშვიდობება დაიწყო.

— მამატიე, მინადორა, უნდა დაგემშვიდო-
ბო... შინ მეჩქარება. დღეს ჩემი თამარი ჩა-
მოდის შორეულ აღმოსავლეთიდან, თავისი პა-
ტარა მარინეთი.

— შორეულ აღმოსავლეთიდან? — გაოცდა
მინადორა. — შენი თამარი შორეულ აღმო-
სავლეთშია?..

— უკვე ორი წელიწადია იქ მუშაობს.
— ნეტა შენს გულს, ჩემო დარეჯან!.. არა,
შენი ქირიმე, მე ჩემს იამზეს ერთი წუთითაც
ვერ მოვიშორებ.

— ამაზე, ჩემო კარგო, ერთი ორი თვის
შემდეგ სჯობს რომ ვილაპარაკოთ. — ღიმი-
ლით თქვა დარეჯანმა, თავაზიანად თავი და-
უკრა მინადორას და კოპლებიანი კაბის სა-
ფასურის გადასახდელად სალაროსკენ გაე-
მართა.

ერთი თვის შემდეგ ჩვენი ნაცნობები მარ-
თლაც შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად მინა-
დორას დანახვაზე დარეჯანი უფრო მეტად
გაოცდა. მინადორა თავიდან ფეხებამდე შა-
ვებში იყო გამოწყობილი. სახე ფერმკრთალი
ჰქონდა და ნაოქები ჩვეულებრივზე მეტად ეტ-
ყობოდა. დარეჯანის დანახვაზე მინადორას
ივლებიდან ცრემლები გადმოსცივდა, სასო-
წარკვეთილი ჩაეკრა მეგობარს და ჩახლჩილი
ხმით ტირილი დაიწყო. მინადორას ხმამ გუ-
ლი აუჩუყა დარეჯანს და მასაც ცრემლებით
ავესო თვალები.

— მინადორა, რა მოგივიდა, შე საცოდა-
ვო, მითხარი, შენი ქირიმე, მითხარი...

— დავკარგე, დარეჯან, ყველაფერი დაგ-
კარგე... — შეპყვირა აცრემლებულმა მინა-
დორამ.

— ყველაფერი დაკარგე?! ვერ გავიგე,
თქვი ქალო, რა შეგემთხვა?..

— იამზე... იამზე... — ასლოკინდა მინა-
დორა.

— იამზე?... ეგ რა გაიგონა ჩემმა ყურებ-
მა!.. — შეიცხადა დარეჯანმა, — ვაი მის დედას,
მითხარი რა მოუვიდა იმ სიცოცხლით სავსე
გოგონას?... — რატომ არაფერი არ გავიგე?..
დაერეკა ჩემთვის, რა იქნებოდა?.. გაზეთში
მაინც რატომ არ შევამჩნიე განცხადება?

— გაზეთში რას შევამჩნიედი, გაზეთში რას
წაიკითხავდი... — მოთქმით გააბა მინადორამ.

— დამშვიდდი, შენი ქირიმე, დამშვიდდი...
გული გაიმაგრე...

— ხომ გახსოვს უნივერსიტეტში რომ შეგ-
ხედით ერთმანეთს? — იკითხა მინადორამ.

— როგორ არ მახსოვს, იმ დღეს თამარი
ჩამოვიდა სწორედ.

— იმ დღეს, იამზე, უკანასკნელ გამოც-
დას აბარებდა... ჩააბარა... ყველაფერი ხუთებ-
ზე ჩააბარა.

— საწყალი გოგო... მერე, შენი ქირიმე,
მერე...

— აკი გითხარი უნდა გათხოვილიყო...
— ჰო, ჰო, პროფესორზე უნდა გათხოვი-
ლიყო.

— ჰოდა, სწორედ რომ უნდა დაგვენიშნა
ქორწილის დღე, იამზე მაშინ... იამზე მაშინ
წავიდა და...

— წავიდა?... სად წავიდა?..

— თურქმენისტანში სამუშაოდ... — მწუ-
ხარედ აღმოხდა მინადორას.

— თურქმენისტანში? ახ, შენ კი რა გითხა-
რი!.. მინადორა, გული გადამიბრუნე... რა არ
ვიფიქრე... რა არ მეგონა... — საყვედურით მი-
ძართა მინადორას დარეჯანმა და საჩქაროდ
შეიმშრალა თვალები, — რა გატირებს, შე და-
ლოცვილო?... უნდა ამაყობდე შენი ქალიშვი-
ლით. წადი ახლავე და გაიხადე ეგ მორთუ-
ლობა. სირცხვილია?

— მე მგონია ვადაწყვეტილი საქმეა, იამზე
იმ კაცს მიყვება აქ კი თურმე შეთქმულება
არის ჩემს წინააღმდეგ.

— იამზე სწორად მოქცეულა!

— სწორად მოქცეულა? — წამოიყვირა მინა-
დორამ.

— რა თქმა უნდა, სწორად. წადი, გაიხა-
დე შავები. შენ არაფერი გაქვს საგლოვი, რას
იწვები ამ პაპანაქება სიცხეში შავ ტანსაცმელ-
ში?... ესეც არ იყოს, სულ არ გიხდება შავი
კაბა... საშინლად გაბერებს... — ღიმილით შე-
ნიშნა დარეჯანმა.

— მამბერებს?... მაშ, გავიხადო?... კარგი, კარ-
გი, გავიხადო... მაგრამ იამზეს მე არ ვაპატიებ.
ძან შთელი იმედები გამიცრუა.


— ეგ არაფერია, საინედო ადგილას წასუ-
ლა, ჩემო მინადორა. მოდი ამ საღამოს ჩემ-
თან, ჩვენს ქალიშვილებზე ვითათბიროთ. მოდი,
ჩემს პატარა შეილიშვილს გაგაცნობ... თამარი-
კო ზეგ ისევ შორეულ აღმოსავლეთში მიდის,
შვებულება გაუთავდათ. მოხვალ ამ საღამოს?...
მოდი... ახლა კი ნახვამდის, შეილიშვილთან
მეჩქარება.

შორიდან შემოუარე და შინ მშვიდობით მიდი.

ამას წინათ ხილბოსტანვატრობის მალახიები ქვიშითა და მტვრით შეზავებულ ქიშიშს ჰყიდდნენ.

სინამდვილიდან

ნახ. მ. აბაშიძისა



— დედოკო, ალ მინდა ქვაშ... მიშე-ი...

ნოდარ შამანაძე

გოგოს მხარდამხარ მიყვები, გულში გიზგიზებს ხანძარი, ბაგეს მომადგა სიტყვები, მაგრამ ენა ვერ დაეძარი. ბოლოს შორიდან დავიწყე, ვაჩვენე ხელის კანკალით: — აი, ის ყანა ვისია, შუაზე რომ ჰკვეთს გზა-კვალი? — ჩვენი, — ისე წარმოთქვა, არც კი გახედა ყანისკენ. — ის ვენახები, წელან რომ ბავშვებმა უბე აივსეს? — ჩვენი, ისიც ჩვენი, ეს სავეს ბალიც ჩვენი, აი, ის მუხაც, ტოტები ცამდე რომ აუწვდენია. განა მართო ის გვეკუთვნის, რასაც თვალებით გახედავ? სუყველაფერი ჩვენია კარპატებამდე აქედან. ვოლგაზე ჰესს რომ აგებენ, ხომ ჩვენი არის ისიცა, ჩვენია დიდი სამშობლო, ეს დიდი მზე და დიდი ცა. — შენ ვილასი ხარ, ესეც თქვი, შენ ფიქრს ვის ირგვლივ უვლია? — ვისი ვარ? შენი ეგ კითხვა უადგილოა სრულიად: — თქვა და მის ნათქვამს ვერ მივხვდი, ექვით გაეშორდი ქალიშვილს, შორიდან შემოუარე, მშვიდად ვერ მიველ მაინც შინ.


სცენა, ბალი და სასაღიღო

ხარაგოულში ჩასვლისთანავე სადგურის ბუფეტს მივაშურე დასანაყრებლად, მაგრამ ამაოდ, საქმელ-სას-მელს ამ ბუფეტში ეგ კი არა, თავგებიც ვერ იპოვნია. რაღას ვიხამდი, ჩხერიმელას გაღმა გავედი და, ის-ის იყო სასადილოს ვუახლოვდებოდი, რომ ქუჩის ნაპირას უცნაური მოძრაობა და ფუსფუსი შევნიშნე. დაეაკვირდი, მაგრამ რაკი ვერაფერი გავარჩიე, ნიანგის სათვალეს მივმართე. და ყოველივე ნათელი გახდა: მთელი ქუჩის ნაპირი ჩაებნელებინა მწერების დაუსრულებელ პროცესიას, ისმოდა ხუხუნი და ჩუმი მოთქმა. წინ მიდიოდნენ ხოტოები, ხოლო მათ უკან ათასგვარი კიბელები და კინებელები, სულ შავებში გამოწყობილნი. პროცესიას სამი კუბო მოჰქონდა, ხოლო მათ წინ გვირგვინების დაუსრულებელი რიგი მიდიოდა. ერთი გვირგვინის წარწერას დაეაკვირდი და გარკვევით ამოვიკითხე: ხოტო — „ბოლრას“ უდროოდ დაობებულ და უნუგემოდ შენიღ ცოლშვილისაგან, ტრაგიკულად დაღუპულს პამიდორის წვენით სავსე ვედროში“. შემდეგი გვირგვინი უფრო მდიდრული ჩანდა. ობობებისაგან მოქსოვილ ღვებზე ეწერა: „ძვირფას და დაუფიქრარ „ბარბაცას“ — გულდამ-ღულრული მეუღლისაგან. ვაქცატურად დამხრკვალს ადღუბებულ ხარჩოს ქვაბში“.

— მე უფრო ჩვენებური საქმელები ვიცი, ბატონო, მაგვარი საზღვარგარეთული კერძისა კი, რა მოგახსენოთ! — მიპასუხა მასპინძელმა და წელში მოკრძალებით მოიდრიკა... რა უნდა მეთქვა? ისევე ყაურმაზე მიეუთითე. — კაცო, სად გავიგონია, რომ ჯიგარს ძვალი ჰქონდეს, რა არის ეს? — აჰ, ძვალი, ძვალი? ხორცი და ძვალი რამ გაყო, ბატონო... მე გაკვირვებისაგან ზევით აღვაპყარი ხელები, მაგრამ ავიხედე თუ არა, ელდა მეცა: ხედ ჩემს თავს ზემოთ, ქერზე უამრავი უცნაური სახის ხოტოები შეკრებილიყვნენ გუნდ-გუნდად, ეტყობოდათ, ოფიციალტის ნიშანს ელოდნენ, რომ თავისი პარაშუტებით თავზე დამსხდომოდნენ. კერძი მივატოვე, ღვინოც აღარ გამისინჯავს, რადგან მასპინძელი „ქრისტიანი“ ჩანდა და ღვინოც უმეველად „მონათლული“ იქნებოდა. გამოვედი გარეთ, კოფიქურ სუფთა ჰაერს მაინც ჩაველავებ მეთქი. გზაზე კომგანს გადავეყარე. იგი დიდის ამბით გაშიძღვა წინ თავის სამფლოთბლოს დასათვალეგრებლად. — მე, ჩემო კარგო, წუწუნს კი არ დავიწყებ ჩვენი ჯანგანით, ან რაიგაპრობის საწყობის გამგე კი არა ვარ, სახანძრო ხელსაწყობები თავის ადგილზე რომ არა აქვს, მავთული და რკინის მილები ცისქვეშ რომ უყრია და უჟანგდება. აბა გახედე როგორ ბაღს ვაშენებ, აი, აქ ჩხერიმელამ ჯებირი გაარღვია და მთელი რიყე შლამით დაფარა. სწორედ აქ ვაშენებ ახალ ბაღს. გავიხედე და მართლაც რიყეზე დიდძალი ხალხი დავინახე, მწვანე ნერგებს რგავდნენ შლამში და ახრად კი არ მოსდიოდათ, რომ ჯერ გარდვეული ჯებირი უნდა შეკეთებულყო, რომ ამდენი შრომა ისევე წყალს არ წაეღეკა. კომგანი კლდეზე აფოფნდა რის ვაიგაგლახით და მეც თან ამიყვანა; ეს იყო ძველისძველი ქვიტკირის ნან-

გრეები, სადაც ორიოდ გახმობის პირზე მისული ხე იყო ჩარქობილი. გაგვე მობრუნდა და თორნიკე ერისთავივით დაჩხედა ძირს მოფუსფუსე თავის ლაშქარს. — აი აქ გაშენდება ახალი ბალი. ჩვიდმეტი ათასი მცენარე დაირგება: ცაცხები, ალგები, ვერხვები, რცხილები, მუხები, პანტები, ტყვმლები, კვრინჩხები და ათასნაირი ასეთივე საუცხოო ხეხილი. აი ის, წითლად რომ მოჩანს, იაპონური ნეკერჩხალია და დღე-ღამეში ერთი მეტრი იზრდება — ისეთი უცნაური ხეა. აი, აქ კი ამ ხეებს მიემატება სხვა ხეები, მათ შუა ვაზები დაირგება და მშვენიერი ხეივანი გამოვა. მე გამბარუა თავისი ლაპარაკით ამ პატარა ტანის კაცმა და მალე ზრდილობიანად გამოვემშვიდობე, რაიონის კულტურის სახლს მივმართე. დარბაზი ისე იყო ხალხით გაქვიდილი, რომ ფეხზე დადგომაც ვერ მოვახერხე. დირექტორმა მთხოვა ლოჯიაში დაჯდომა და მეც დიდხანს აღარ ვახვეწიე. დაიწყო ბავშვთა თვითმოქმედების ოლიმპიადი, მაგრამ თქვენ მტერს! — ისეთი მოუზამდებელი იყვნენ, ისე საცოდავი იყო მათი სიმღერა და ცეკვა, რომ ეს მშვენიერი ბავშვები დამენანა მათი მასწავლებლების ხელში. თანაც ვფიქრობდი: მთელი დღე ვხოვებიდან, ბილიკებიდან, ყანებიდან და ოჯახებიდან თუ შესანიშნავი სიმღერები მესმოდა, აქ რა მოუვიდათ-მეთქი. ამ დროს სცენაზე ისეთი ბოლი დადგა, რომ კინაღამ შიშისაგან შევეკირე, რადგან მეგონა, რომ ხანძარი გაჩნდა კლუბში, მაგრამ გვერდით მჯდომმა მეზობელმა თავაზიანად განმიმარტა: — ეს მტვერია იატაკიდან ამდგარი, ელექტრო-შუქზე დახეთ რა საოცნებო ღრუბლებივით იშლება! მე მხრები ავიჩეჩე და გარეთ გამოვედი, რადგან აქ „ოცნების ღრუბლებმა“ მთელი მომღერალთა გუნდი ისე დაფარა, რომ „ნიანგის“ სათვალეთაც ვერაფერი გაირჩეოდა.

ლადო მარიაშვილი



წარმოიდგინეთ, რომ თქვენ რევიზორი ხართ, თბილისი-დან კაქრეთს მიემგზავრებით და გზაზე ასეთ მუსიკოსს გადა-აწყვდით:

— მიითვისებენ, აბა რას იზამენ, ჩემო კარგო! ცენტრი-დან წელიწადში ერთხელ თუ ჩამოივლის რევიზია, ისიც გაზაფ-ხულზე, როცა ბატკანს ჯერ ისევ რძის გემო აქვს და მოლზე სუფრა ყველა ფერმის წინ შეიძლება გაიშალოს!

— როგორ, სუფრის გასაშლელად ჩამოიღის ვინმე თბი-ლისიდან?

— არა, ისე ვამბობ, კაცნი ვართ, აქ რესტორანი არ არის და სასადილო, ჩამოსულ კაცს მშიერს ხომ ვერ მოკლავ? ადგები და მოლზე გაუშლი სუფრასა! სტუმარ-კაცს ბატკნის გემო არ აჩვენო?

— ვისი ბატკნისა, ყმაწვილო, სად ხდება ეგა?

— სადა და ჩვენ სოფელში, იორ-მულანლოს კოლმეურ-ნობაში. დაიკვლის, შეიქმნება და ჩამოიწვრება, მიითვისებენ და მგლებს დააბრალებენ, იწვრება აქტები და იჩქმალება ფაქ-ტებიო, ჩვენში მღერიათ შაირსა. რაღა შორს წავიდეთ—ჰკით-ხეთ შიშნიაშვილსა, ეს ამბები ხომ მისი დახმარებითაც ხდება?

გაგჩნდით იორ-მულანლოს მოლოტოვის სახელობის კოლ-მეურნობაში. მივაკითხეთ და თავმჯდომარე გავიცანით. ჰამზა გამედ-ოლლის გაქონილი უღვაშები უბზინავდა. ვერ გამოვიცანით, მისი უღვაშები ნამდვილად იმ ბატკნის მწვადე-ბით იყო გაპოხილი, რომელზედაც გზაში უცნობი მოსაუბრე ამბობდა, თუ საკუთარი „ბზინვარება“ დაჰკრავდა თავმჯდო-მარეს? ეს-კია, როცა ცხვრის სულადობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, თვალი აგვარიდა და აქტებზე მიგვითითა. ესეც აქტები. ვნახეთ და შევამოწმეთ:

აქტები, სამწუხაროდ, აქ მრავალ შემთხვევაში სიყალბის, თაღლითობისა და ქურდობის მისაჩქმალავ საშუალებად ჰქო-ნით გამოყენებული. ფიქტიური, გამოგონილი აქტები საკმაოდ

ბლომად იწვრება და იკერება „საქმეობაში“. აი, სახელდახელო მაგალითებიც:

№ 1 ფერმის ბრიგადირმა ალაზ-ოლლიმ კოლმეურნე-ობის 13 სული ცხვარი მიითვისა. აქედან 5 ცხვარზე ყალბი აქტი შეადგინა, თითქოს ისინი „მგელმა შეუქამა“, აქტს ბე-ქედი „სდლიზეს“ და ალაზ-ოლლის მიითვისებული ცხვრები ჩამოწერეს. ბრიგადირმა აჯი ადი გოზ-ოლლიმ 17 სული ცხვა-რი დაისაკუთრა: ფიქტიური აქტით 7 სული „მგელს შექამა“, დანარჩენი — „ისე“ მიითვისა, მახმად მახმად-ოლლიმ 12 სუ-ლი ცხვარი წაიყვანა თავის სახლში. აქედან ფიქტიური აქტით 6 სული „მგელს შექამა“, აჯი სარი-ოლლიმ 27 ცხვარი მი-იტაცა და ყალბი აქტით 7 ცხვარი „გააფორმა“ და ასე დაუ-სრულებლივ.

ამ აქტებს „ამოწმებდნენ“, ბეჭდებს ურტყამდნენ და გასამართლებელ საბუთებს ეძახდნენ თავმჯდომარე გამედ-ოლლი და ზოოვეტტექნიკოსი შიშნიაშვილი, რომელთა „გულუბრყ-ვილობა“ ქათამსაც კი გააცინებს: თურმე ნუ იტყვი, მათ „სჯეროდათ“ ამ აქტების სინამდვილე, რომელთა წყალობით მტაცებლებმა 92 სული ცხვარი წაგლიჯეს კოლმეურნობას. მაგრამ აი, ჩვენ ვთქვით, რომ ეს არ გვეჯერა, აქტები ყალბია რომ აღნიშნული ცხვრები მგლებმა კი არა, ზემოჩამოთვლილმა პირებმა დაიტაცეს... და დამნაშავეები უმაღვე დაფაცურდნენ, მეორე დღეს მათ უკლებლივ მოიყვანეს და კოლმეურნობის ფარაში ჩააყენეს მათ მიერ მიითვისებული 92 სული ცხვარი.

— რა ვიცით, ჩვენც ისე ვიქცევოდით, როგორც ვხედავ-დით,—გამოგვიცხადეს მტაცებლებმა. ვის ეხებოდა ეს ქარაგ-მა? არ გამოვვდავით, რადგან, ვფიქრობთ, კაქრეთის რაიო-ნისა თუ არა, თბილისის ოლქის პროკურორი მაინც ჩვენზე ცუდად არ გამოარკვევს, თუ როგორ ამხელენ ფაქტები აქტებს.

ფარსადანი

სადგურ ორპირის კრაქები

შთანთთო კრაქებიო, ქალი მოგვყავს ნაქებიო...

ახალი შებინდებული იყო, როდესაც გაისმა მანდიკორელ მექორწილეების მაყრული, მაგრამ სადგურის მესვეურთ არ გაუგონიათ ეს დამცინავი სიმღერა. მართლაც შესანიშნავი იყო ღამით ორპირის სადგური. სადგურის უფროსის კაბი-ნეტში ისე ბნელოდა, როგორც უფულო კაცის ჯიბეში. სა-ლაროში კრაქი ბეუტავდა, შეგვეგრესანი მოლარე დამურასავით გამოიყურებოდა და შეგვეგრესანი ხელებით შეგვეგრესანი ბილე-თებს ყიდდა. სადგურის პირდაპირ კი ელექტრონით გაჩირად-დნებული ჩაის ფაბრიკას მაღლიდან მთვარე დასცქეროდა და ვარსკვლავებს ეჩურჩულებოდა:

მოგვეკრა თავი, შეგვარცხვინა ორპირის სადგურმა, 6 თვეა კრაქებში ღაფავს სულს. სირცხვილი არ არის, ამ ელექ-ტროფიკაციის ხანაში კრაქი რა სახსენებელია. ამ დროს ანთებულ კვართა და ჟინჟილებით მანდიკორელი მექორწი-ლეები შეძოჯირითდნენ სადგურის ბაქანზე. ჩირადნების დანახვაზე სადგურიდან დამურების ესკადრილია გამოდრინდა და ორპირის ტყეებს მიაშურა. სადგურის ბაქანზე დოლ-გარბონი გაჩაღდა. სინათლის დანახვით გახარებულმა და-თაია ჩუბინიძემ დაიმკლავა და ფეხის წვერებზე შედგა და ჩაბუქნა, თან ეს სიმღერა დააყოლა:

შაურები შაურებსო, აბაზები აბაზებსო,
გონჯი ცოლის პატრონი ვარ, ვენაცვალე ღამაზებსო!


სიტყვა „ცოლის“ გაგონებაზე სიძემ მოიხედა და მის გვერდით პატარძალი რომ ვერ დაინახა, ძებნა დაუწყო; შე-მოიბრინა ბაქანი, შემდეგ სადგურის დარბაზში შეანათა კვა-რი და ძახილი დაუწყო:


— იბრუხტი, ბოშო, იბრუხტი!

— აგერ ვარ, ჩემო კვიროსი!
— ვინ ხარ, ბოშო შენ?
— იბრუხტი, იბრუხტი ვარ, შე კაცო!
ამის თქმა და სიძემ ხანჯალი იშოშვლა. გულწასული ჰა-ტარძალი ფილაქანზე გაიშოტა. შეიქნა ჩოჩქოლი. შემოესივ-ნენ სიძეს.
— არ მომეკაროთ, დაგხოცავთ ყველას!
— რა ამბავია, შვილო, ვინ გაგაჯავრა?—შემოეხვივნენ პატარძლის ჭირისუფლები.
— არ გაგივით ვგ ნომერი!
— რა ნომერი, კაცო, კვიროსი!
— რა ნომერი და ქალი შემიცვალეს, ქალი!
მისცივდნენ გულწასულ პატარძალს და წამოაყენეს, მთელი ვედრო წყალი შეასხეს სახეზე და მოასულიერეს. თვა-ლები გაახილა და წამოიძახა:
— კვიროსი, მტოვებ?
ყველანი კვიროსს მიაჩერდნენ, სიძე თავდახრილი იდგა და ჩუმად უღვაშებში იღიმებოდა.
თურმე ნუ იტყვი: პატარძალი სადგურში ყოფნის დროს კრაქის ბოლით ისე გამურულიყო, რომ იმ წყალს არ ეშველა მისთვის და სახე არ ჩამოერეცხა, შეიძლება სიძეს ქორწილი ქელენად გადაექცია.
მატარებელმა მოაკივლა.
მექორწილეები აიშალნენ და როდესაც მატარებელი დაი-ძრა, ეს სიმღერა გაისმა:

სადგურ ორპირის უფროსსა ხევერიაშ ოზოლაძეს
ხანამ უნდა მის სადგურში ეს კრაქები რომ მილავდეს!

მ. გომიანურილი






— ფეხსაცმელი მომიტანა, — ავარდნილი ჰქონდა დანჩა!
თორმეტ თუმნად დაუფასე ჩემი შრომა, ჩემი გარჯა,
როცა ფული გადიხადა სახე მასაც მოეჭანჯა,
მაგრამ სამი კვირა მსდია, სამი კვირა მიდარჯა

და დღეს, ახად ფეხსაცმელით კმაყოფილი მაინც დარჩა...
მე კი. ძველის დაკერებით თავი რისთვის დამეტანჯა,
როცა ახლის შესაძენად ცხრა თუმანი დამეხარჯა!

ზოგოთუა მივარჯილი



შემორჩენილი ანდაზები



- ცოლი ჩრდილში ისვენებდა, ქმარს კი სიცხე ადგაო.
- დირექტორის შვილო, ვინ გიყვარსო და მამახემის საწყობის გამგეო.
- გამფლანგუელები რომ ამოტევიდნენ, მფარველებმა ჩაუვინთესო.
- სტადიონის მოლაბე ტიროდა და გადაძვიდუელები შუხარებას ისიარებდნენო.
- საწყობის გამგეს თავი ქუდში ჰქონდა და ფეხები შროკურატურაშიო.
- ჰიესა თვატრში ჩავარდა, დრამატურგი — ლოგინშიო.

ვლ. მიაუარხილი




რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა შ ვ ი. საკრედიტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирако-юмористический журнал „Ипанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1952 წ. 16/VII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1720 გამოც. № 13 ტირ. 15.000, უფ. 03766.

დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, ზარათაშვილის ქ. № 10/1 შეკ. № 309



ციცხლის მოყვარულს ნავთი სწყურია!
(რა ვქნათ, ჩერჩილის გულიც გულაია!)

შაგრამ სპარსული ხალიჩა უკვე
ამერიკულად მოქარგულია!..

ნავთის პატრონის გული კი იწვის-კვამლი კი არა-ციცხლის აღი ჩანს..
და მე მგონია: მალე ორთავეს სულ გამოაძრობს ფეხებზე ხალიჩას.